ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4274659

ნომერი: AR1643097

თარიღი : 09.11.2018

გაცემის თარიღი : 22.11.2018

გაცნობის თარიღი : 26.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სოლომონ დოდაშვილი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენა სმაგლიუკი პ/ნ 13001065096
- გურჯაანი 9 აპრილის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1643097 განცხადებაზე №4263077 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

1. სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სამშნებლო სამუშაოების განხორციელება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, საჭიროა საჩრდილობელი მოეწყოს საყრდენი ბოძების გარეშე, მსუბუქი კონსტრუქციის, ტენტის სახით. აღნიშნულის შესაბამისად წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი, ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

2. ვინაიდან ამჟამად წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით ფართის მესაკუთრე არის მიხეილ ჩიტორელიძე, ხოლო განმცხადებელი ხართ თქვენ ელენე სმაგლიუკი, საჭიროა წარმოადგინოთ მიხეილ ჩიტორელიძის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა, დამოწმებული სათანადო წესით ან მიხეილ ჩიტორელიძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ასევე წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში ამხანაგობა „ისნის სავანეს“ უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა.

გაითვალისწინეთ, რომ ამ ჯერზე ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.